



მიგრანტის, როგორც „უცხო“ ინტეგრაცია საზოგადოებაში

ინა ყაფლანიშვილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ina.kaplanishvili.sssba2019@gipa.ge

აბსტრაქტი

„უცხო“ აღქმა სხვადასხვა ეპოქასა თუ საზოგადოების ცვლილებასთან ერთად ტრანსფორმაციას განიცდიდა. თავდაპირველად ტერმინი ვინაო მნიშვნელობით მოიაზრებდა ადამიანს, რომელიც საზოგადოებისთვის მტრად აღიქმებოდა, თუმცა თანამედროვე სამყაროში მის ქვეშ უფრო მეტად ფართო ჯგუფები ერთიანდებიან, რომელთა შორისაც ერთ-ერთს მიგრანტები წარმოადგენენ. ნაშრომი ტერმინ „უცხოში“ სწორედ მიგრანტებს განიხილავს, რომლებზე საუბრისას, როგორც წესი, უფრო ხშირად ყურადღება გამახვილებულია მათ გავლენებზე საზოგადოებაზე, თუმცა ნაკლებად იმაზე თუ თავად საზოგადოება რა გავლენას ახდენს მიგრანტზე, ამიტომ მოცემული კვლევის ფოკუსს სწორედ მიგრანტის პერსპექტივით დანახული საზოგადოება წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის მიზანია იმიგრანტის, როგორც „უცხო“ ინტეგრაციის სპეციფიკური საკითხების გაანალიზება, რაც გულისხმობს მიგრანტის ინტეგრაციის მიკრო, მეზო და მაკრო დონეების გამოყოფასა და ინტეგრაციის ხელის შეწყობი და შემაფერხებელი ფაქტორებისა და მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესებს შორის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების გამოვლენას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, სამივე დონისთვის შემაფერხებელი - ენის ბარიერი, რომელსაც მაკრო დონეზე თან ერთვის განსხვავებული მიდგომები და შეხედულებები, რაც კიდევ უფრო მეტად ასუსტებს ინტეგრაციის პროცესს. გარდა ამისა, ყურადღების ქვეშ მოექცა ინდივიდუალური ინტეგრაციის ფენომენიც, რომელიც ყველაზე შესამჩნევი არის მიკრო დონეზე, რადგან ინტეგრაციის დონეების მატებასთან ერთად, მიგრანტის ხელთ არსებული ბერკეტები შესუსტებას იწყება. ამასთან, გამოვლინდა მასპინძელი საზოგადოების მხრიდან „უცხო“ განსხვავებული აღქმისა და შესაბამისად მიგრანტის ინტეგრაციის ცვალებადობის ტენდენცია გენდერის, კანის ფერის, სქესისა თუ რელიგიური შეხედულების პარალელურად.

საკვანძო სიტყვები: უცხო, ინტეგრაცია, მიგრანტი, მიგრანტთა ინტეგრაცია, მიკრო, მეზო და ფართო დონეები.

შესავალი

ანტიკურ სამყაროში ადამიანს, რომელიც არ იყო ქვეყნის მოქალაქე და არ სარგებლობდა მოქალაქეობრივი უფლებებით, საზოგადოება „უცხო“ ნათლავდა. ეს იყო პიროვნება, რომელიც საზოგადოების თვალში მტრის სტატუსითა და, როგორც წესი, უარყოფითად აღიქმებოდა, ხოლო ამ ნეგატიური განწყობის შეცვლა კი „უცხო“ მხრიდან მასპინძელ საზოგადოებაში ნდობის მოპოვების ხანგრძლივ პროცესს უკავშირდებოდა (TIRYAKIAN, 1973). დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, „უცხო“ დეფინიცია იცვლებოდა და ეს ტრანსფორმაციის პროცესი საზოგადოებაში მისი სტატუსისა და როლის ცვალებადობის შესაბამისად მიმდინარეობდა, თუმცა ანტიკურიდან ახლა უკვე მე-20 საუკუნეში თუ გადმოვინაცვლებთ, დავრწმუნდებით, რომ საკითხის აქტუალობა, არც მოგვიანებით გამქრალა. მეტიც, მის გარშემო უფრო განსხვავებულ, დეტალურ, ვრცელ განმარტებებს ვხვდებით, რომელთა შორის ერთ-ერთია XIX საუკუნეში ჯორჯ ზიმელის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც „უცხო“ ესაა პოტენციური მოგზაური (მოხეტიალე), რომლის პოზიცია ჯგუფში განსაზღვრულია იმ ფაქტით რომ ის ამ ადგილს დაბადებიდან არ ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ ზიმელის მიერ შემოთავაზებული ამ განმარტებიდან საუკუნეზე მეტი გადის, თუმცა „უცხოები“ არც თანამედროვე სამყაროში გამქრალან, პირიქით, ტერმინი კიდევ უფრო გაფართოვდა, ვინაიდან ისეთ მრავალფეროვან ჯგუფებს მოიცავს, როგორებიცაა: სამუშაოდ ჩამოსული მუშები, უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, მიგრანტები, იმიგრანტები (Seiberth, 2017). ნაშრომში ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელზე - იმიგრანტებზე იქნება გამახვილებული, რომელთა გავლენა აშკარაა საზოგადოებაზე, თუმცა ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, თუ რა გავლენას ახდენს თავად საზოგადოება იმიგრანტებზე, რაც მიუთითებს, რომ საჭიროა ყურადღების კონცენტრირება არა საზოგადოების განწყობებსა და მათი პერსპექტივიდან დანახულ იმიგრანტებზე, არამედ თავად იმიგრანტის თვალთ დანახულ საზოგადოებაზე.

შესაბამისად, მოცემული კვლევის თემას სწორედ იმიგრანტის, როგორც ინდივიდის (და არა ჯგუფის), საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი, მისი ინდივიდუალური ემოციური-მდგომარეობა და ის ბარიერები, თუ გამოწვევები წარმოადგენს, რომლებსაც დღეს საზოგადოებაში ვხვდებით. აღნიშნულ თემებზე ორიენტირება საშუალებას მოგვცემს იმიგრანტის, როგორც ცალკეული ინდივიდის, გადმოსახედიდან შევხედოთ ჩვენს რეალობასა და საზოგადოების ღიაობას. საკითხის ზემოთ ხსენებული პერსპექტივიდან განხილვა კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩვენ, ერთი მხრივ, გავანალიზებთ იმიგრანტის საზოგადოებასთან ინტეგრაციის სირთულეებსა და გამოწვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაციას მოგვანვდის თავად მასპინძელ საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებზე არა ტრადიციული, არამედ ახალი და განსხვავებული რაკურსით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჯერ კიდევ უძველეს საზოგადოებებში ვხვდებით „უცხო“ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც: „უცხო ესაა პიროვნება მოქალაქისა და მოქალაქის უფლებების გარეშე, რომელიც საზოგადოებაში მტრის

სტატუსით სარგებლობს და როგორც წესი, უარყოფითად აღიქმება, ვინაიდან მას მასპინძელ საზოგადოებაში არეულობა და დაბნეულობა შემოაქვს, ხოლო ამ ნეგატიური განწყობის შეცვლა კი „უცხო“ მხრიდან მასპინძელ საზოგადოებაში ნდობის მოპოვების ხანგრძლივ პროცესს უკავშირდება“ (TIRYAKIAN, 1973). მე-20 საუკუნეში ტერმინის უფრო ვრცელ დეფინიციას ჯორჯ ზიმელი გვთავაზობს, რომელიც „უცხო“ განმარტავს, როგორც პოტენციურ მოგზაურს (მოხეტიალეს), რომლის ადგილი საზოგადოებაში სამუდამოდ განსაზღვრულია იმ ფაქტით რომ ის ამ ადგილს დაბადებიდან არ ეკუთვნის. „უცხო“ ვერასდროს გახდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ვინაიდან ის იკავებს ჯგუფში გარკვეულ პოზიციას, თუმცა არასდროსაა ამ ჯგუფის ნაწილი (clarke, 2014), ხოლო უცხო ინტეგრაციის ხარისხს მასპინძელ საზოგადოებაში განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კულტურა, ეროვნება თუ ღირებულებები (Wolff, 1950). ზიმელი ასევე ყურადღებას ამახვილებს სიტყვა დისტანციაზე, რომელიც განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, რაც დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ მას „უცხო“ მიმართ გამოვიყენებთ, თუ „შინაურის“. ნაცნობის შემთხვევაში დისტანცია გულისხმობს პიროვნებისგან ფიზიკურად შორს ყოფნას, რაც შეეხება „უცხო“, ლოკაციის სიახლოვის მიუხედავად, იგი ჩვენგან მაინც შორს იმყოფება მთელი რიგი კულტურული თუ სოციალური განსხვავებების გამო (Wolff, 1950). ამასთან, ზიმელი „უცხო“ საზოგადოების დინამიკურ კატეგორიად წარმოგვიჩენს, რომელშიც ნებისმიერი სოციალური ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს ან გამოვიდეს. როგორც წესი, ასეთ ჯგუფებს მიგრანტები წარმოადგენენ, რომლებიც მშობლიური ადგილიდან სხვაგან მიდიან (TIRYAKIAN, 1973). ამრიგად, ნაშრომშიც ყურადღება სწორედ მათზე - იმიგრანტებზე იქნება გამახვილებული, რომლებიც ტერმინ „უცხოში“ არის ნაგულისხმები.

არანაკლებ მრავალფეროვანია ინტეგრაციის, როგორც ტერმინის, დეფინიცია. ერთ-ერთი ასეთი განმარტების მიხედვით, ინტეგრაცია დაკავშირებულია უცხო გარემოში დამკვიდრების პროცესთან, მასპინძელ საზოგადოებასთან ინტერაქციასა და ცვლილებებთან, რომლებიც იმიგრაციის თანმდევი პროცესია. იმიგრანტის მასპინძელ საზოგადოებაში ჩასვლის მომენტიდან მნიშვნელოვანია ე.წ „უსაფრთხო ადგილის“ მოძებნა, რაც გულისხმობს როგორც გეოგრაფიულ ლოკაციას, ისე სოციალური და კულტურული ადგილის მოძებნას, რაც იმიგრანტის საზოგადოებისთვის მისაღებ ნაწილად ქცევას უზრუნველყოფს (R. Penninx, 2016). იქიდან გამომდინარე, რომ ტერმინის გარშემო უამრავ განმარტებას ვხდებით, ნაშრომში ინტეგრაცია განხილული იქნება, როგორც ინტერაქციული პროცესი იმიგრანტებსა და მასპინძელ საზოგადოებას შორის. იმიგრანტისთვის ინტეგრაცია ნიშნავს ახალი კულტურის გაცნობას, უფლებებების, ვალდებულებებისა და სოციალურ სტატუსის შექმნას, მასპინძელ საზოგადოებასთან პერსონალური ურთიერთობების დამყარებასა და საკუთარი თავის ახალ საზოგადოებასთან იდენტიფიკაციას, ხოლო თავად მასპინძელი საზოგადოებისთვის კი ინტეგრაცია გულისხმობს ღია ინსტიტუციებსა და იმიგრანტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას (Heckmann, 2006).

საგულისხმოა იმიგრანტის ინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებული რამდენიმე კონცეფცია, რომელთა შორის საყურადღებოა ასიმილაციის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, იმიგრანტისთვის, არსებულ ნორმებსა და ღირებულებებთან მორგება უმრავლესობისთვის „სასურველად“ ქცევის

წინაპირობას წარმოადგენს (R. Penninx, 2016), თუმცა თუ აღნიშნულ კონცეფციას კრიტიკულად შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ იმიგრანტის მასპინძელ საზოგადოებაში ადაპტაცია აუცილებლობით არ გულისხმობს უცხო აბსოლუტურ კონფორმულობას, ვინაიდან უცხო საზოგადოების მისაღებ ნაწილად ქცევა შესაძლებელია სწორედ მისი ინდივიდუალური, სოციალური თუ კულტურული ნიშნების შენარჩუნების პირობებშიც. მოცემული ნაშრომის მიზანიც სწორედ ზემოთ ხსენებული კონცეფციების თანამედროვე საზოგადოებათან შესაბამისობის დადგენაში მდგომარეობს. საბოლოოდ, ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ “უცხოები” საზოგადოებებში ყოველთვის არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ მომავალშიც, თუმცა მათი როლის ცვლილება საზოგადოებაში მთელ რიგ სოციალურ თუ კულტურულ ფაქტორებთანაა დაკავშირებული.

ანტიკურისგან განსხვავებით, თანამედროვე სამყაროში ტერმინი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაფართოვდა და ისეთ მრავალფეროვან ჯგუფებს მოიცავს, როგორებიცაა: სამუშაოდ ჩამოსული მუშები, უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, მიგრანტები, იმიგრანტები. ასევე ცხადია ისიც, რომ ტერმინების - „უცხო“ და „ინტეგრაცია“- გარშემო ვხვდებით განსხვავებულ და მრავალფეროვან დეფინიციებს, რომლებიც საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად ტრანსფორმაციას განიცდიან. ზიმელისა და ჰეკმანის განმარტებებს თუ დავეყრდნობით, ორივე ტერმინის დეფინიციისთვის საერთო - დინამიკურობაა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ზიმელი უცხო საზოგადოების წარმოგვიჩენს, როგორც დინამიკურ ჯგუფს საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ჰეკმანი განმარტავს ინტეგრაციას, როგორც მიმდები საზოგადოების ძირითად ინსტრუქტებში მიგრანტთა ჩართვისა და მიღების გრძელვადიანი პროცესს (Gsir, 2014).

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმიგრანტის, როგორც „უცხო“ ინტეგრაციის სპეციფიკური საკითხების გაანალიზება, ხოლო მიზნიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი საკვლევე საკითხები:

- ა) იმიგრანტის ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრა მიკრო, მეზო და მაკრო საზოგადოების დონეზე;
 - ბ) ინტეგრაციის პროცესში ხელის შემშლელი და ხელის შემწყობი ფაქტორების გამოვლენა;
 - გ) მიგრანტთა ინტეგრაციის პროცესებს შორის საერთო და განსხვავებული მახასიათებლების გამოყოფა;
- შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ ერთი მხრივ, საქართველოში ჩამოსული იმიგრანტები, რომლებიც ქვეყანაში გარკვეული მიზნითა და ვადით იმყოფებიან, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც გარკვეული ვადით უცხოვრიათ/ან ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 6 ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ, რესპოდენტები კი შეირჩა მიზნობრივად. ინტერვიუების ჩატარების შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები, ხოლო ტრანსკრიპტების ანალიზისთვის გამოყენებულია ნარატიული კონტენტ-ანალიზი.

„უცხო“ ინტეგრაცია მიკრო დონეზე

მიგრანტები მშობლიური ქვეყნის დატოვებით შორდებიან არა მხოლოდ გეოგრაფიულ ლოკაციას, არამედ უკვე ნაცნობ, კომფორტის ზონად ქცეულ საზოგადოებას და უწევთ ისეთ გარემოში ინტეგრაცია, რომელშიც სიტყვა - დისტანცია მხოლოდ ფიზიკური მანძილით კი არ განიმარტება, არამედ აქ საქმე გვაქვს უცხო პარადოქსთან - ის აქ არის ახლოს, მაგრამ არა ჩვენთან (Georg Simmel, 2016). სწორედ უცხოა და მასპინძელ საზოგადოებას შორის დისტანცია არის მიზეზი იმისა, რომ მასპინძელ ქვეყანაში ჩამოსვლის პირველი დღეები კვლევაში მონაწილე მიგრანტებისთვის ისეთ შეგრძნებებთან ასოცირდება, როგორებიცაა: შოკი, ქაოსი, დაბნეულობა, დისკომფორტი. მსგავს შეგრძნებებს კი პირველრიგში სწორედ მიკრო დონეზე დამყარებული ინტერაქციები განაპირობებს. 22 წლის ლიკა, რომელიც უკვე სამი წელია უნგრეთში ცხოვრობს, იხსენებს ჩასვლის პირველ დღეს, როდესაც მძიმე ბარგით ხელში საცხოვრებლის კიბეებთან აღმოჩნდა, სადაც ასევე რამდენიმე უნგრელი ბიჭი იდგა „მგონია, რომ ჩამოვლენ დამეხმარებიან, მაგრამ არა...ამ ჩანთების თრევა მარტომ მომიწია იქამდე, სანამ თავად არ ვითხოვე დახმარება.“ აქედან ჩანს, რომ საზოგადოებებს შორის კულტურული განსხვავებები ხშირად განაპირობებს განსხვავებულ მოლოდინებს, ერთი მხრივ, თავად მასპინძელი საზოგადოების მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ- მიგრანტის, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ ქცევას ელოდა. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანაში მსგავს სიტუაციაში მას განსხვავებული გამოცდილება ჰქონდა. „ჩემს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მექნებოდა მოლოდინი, რომ ვიღაც თავისივე ინიციატივით მოვიდოდა და დამეხმარებოდა“ (ლიკა). ამიტომაც, რომ უცნაურობისა და გაკვირვების გრძობა ყველაზე ხშირად სწორედ კულტურული განსხვავებების აღმოჩენის პროცესთანაა დაკავშირებული. 60 წლის ჯეიმსი ამერიკიდან, რომელმაც საქართველოში 3 წელი გაატარა, ამბობს, რომ მისთვის აქამდე უჩვეულო იყო მეზობლებთან ძალიან ახლო ურთიერთობის დამყარება. ის ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში გასაღებს მეზობელს უტოვებდა, რომელიც მის არყოფნაში მაცივრიდან იღებდა და ყრიდა ვადაგასულ პროდუქტს და თან ჯეიმსს გამზადებულ კერძებსაც ახვედრებდა. „ჩემს ქვეყანაში ეს არასდროს მოხდებოდა, არავინ იზრუნებდა შენს მაცივარზე.“ ასევე კულტურული განსხვავების შესახებ საუბრობს ტომი, 45 წლის, ამერიკიდან, რომლის ხშირად ნათქვამი „გამარჯობა“ და „მადლობა“ მაღაზიაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მისი ქართველი მეგობრის გაკვირვებას იწვევდა. მეტიც, ტომი მეგობრისგან შენიშვნას იღებდა, რომ არ იყო საჭირო ამდენი „მადლობის“ და „გამარჯობის“ თქმა, თუმცა ტომისთვის ეს იყო ერთგვარად „კულტურული რეფლექსი“, შესაბამისად ის გარემოს შეცვლის მიუხედავად, ვერ შეიცვლება. ხშირად სწორედ მისთვის დამახასიათებელი „ზედმეტი თავაზიანობით“ ხვდებოდა მასპინძელი, საზოგადოება, რომ ის „აქაური“ არ იყო. ამ კონკრეტული შემთხვევებიდანაც ჩანს, რომ ერთი შეხვედით მცირე, განსხვავებული კულტურული დეტალები თამაშობენ იმიგრანტისთვის „შემხსენებლის“ როლს, რომელიც კარნახობს, რომ ის სხვა საზოგადოებაში იმყოფება, სტატუსით - „უცხო“. აქედან გამომდინარე კი ცალსახაა, რომ მიკრო დონეზე ერთ-ერთ ბარიერად სწორედ ის კულტურული განსხვავებები გვევლინება, რომლებსაც მიგრანტი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში აწყდება. ხელის შემშლელ ფაქტორებზე საუბრისას აღსანიშნავია სწორედ ენობრივი ბარიერის როლიც, რომელიც ექვსივე რესპოდენტისთვის ყველაზე რთულ დაბრკოლებად

გვევლინება მათ შორის მიკრო დონეზე, ვინაიდან აღნიშნულმა დაბრკოლებამ შესაძლოა მარტივი სიტუაციებიც კი უდიდეს პრობლემად აქციოს. კვლევაში მონაწილე კიდევ ერთი რესპოდენტი, ანანო, 23 წლის, საუბრობს სწორედ იმაზე თუ როგორ გადაიქცა ენის ბარიერის გამო მაღაზიაში ხურდის დაბრუნების მარტივი „ოპერაცია“ თითქმის ერთ საათიან პროცედურად, რომელშიც საჭირო გახდა „მედიატორის“ ჩარევა ინგლისურად მოლაპარაკე რიგში მდგომი ადამიანის სახით. ერთ-ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ ამხვილებს ინტეგრაციის პროცესზე საუბრისას ყველა ენის ბარიერზე ყურადღებას ისაა, რომ როგორც აღმოჩნდა, ენის ბარიერი არა მხოლოდ ართულებს კომუნიკაციას, არამედ ხშირად საერთოდ სპობს ამ უკანასკნელს, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ ყოველდღიური კომუნიკაციისას მაღაზიაში, ქუჩაში, სამგობლოში მასპინძელი საზოგადოების ნაწილი საერთოდაც ცდილობს თავიდან აირიდოს „უცხოთან“ ნებისმიერი სახის კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ აქტიურდება ერთგვარი თავდაცვითი ინსტიქტი, რომელიც გამომდინარეობს უცხო „ვერ გაგების“ შიშიდან. ყოველივე ვლინდება დაძაბულობასა და „საფრთხის“ შეგრძნებაში, რასაც განაპირობებს ფიქრი იმის შესახებ, რომ „უცხოთვის“ პასუხის გაცემა შეუძლებელია. „ვერ გამაგებინა, რა უნდოდა, ვერც მე ვერ გავაგებინე, რა მინდოდა“ (ანანო). სწორედ ამგვარი იზოლაციის შედეგად წარმოიქმნება ხშირად უცხო მამართ განსხვავებულ განწყობები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. რესპოდენტები საუბრობდნენ რომ ახალგაზრდებში უფრო მეტი მიმდებლობა და ღიაობაა უცხოთან მიმართებით, რადგან მათ უმეტესობას შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია. ასე, რომ მიმდებლობის ხარისხი უნგრეთის საზოგადოების შემთხვევაში რესპოდენტების შეფასებით ასაკის ზრდის უკუპროპორციული იყო. აქ სამივე რესპოდენტი ყურადღებას ამხვილებს იმაზე, რომ მაღალი ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფები ნაკლები სიმპათიით არიან განწყობილნი იმიგრანტების მიმართ. მიზეზი კი შეგვიძლია სწორედ ენის ბარიერში ვეძიოთ. ვინაიდან, რადგანაც მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს უცხოთან საერთო, თუნდაც ინგლისურ, ენაზე საუბარს, ისინი ხშირად უცხო „გაურბიან“ და თავს განზრახ არიდებენ. ამასთან, ენობრივი ბარიერით გამოწვეული იზოლაცია იკვეთება არა მარტო კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებთან კომუნიკაციისას, არამედ თანატოლებთან კონტაქტისას. ლიკა საუბრობს შემთხვევებზე, როდესაც საერთო საცხოვრებელში ან უნივერსიტეტში სტუდენტები, რომლებმაც ინგლისური არ იცოდნენ, უფრო მეტად გაერთიანებულნი იყვნენ თავიანთ ვიწრო სოციალურ წრეებში, რომელში შელწევაც უცხო ნამდვილად გაუჭირდებოდა. ამავე დროს რესპოდენტთა უმრავლესობის შემთხვევაში გამოიკვეთა თავად მიგრანტის მიერ საზოგადოების კლასიფიკაციების ტენდენცია - ის, ვინც საუბრობს ინგლისურად (ან მისთვის გასაგებ ენაზე) და ის, ვინც არა. შესაბამისად ხშირად აღნიშნული კლასიფიკაცია განაპირობებს უცხო განზრახ თუ უნებლიე არჩევანს, თუ ვისთან იმეგობრებს, რომელ სოციალურ წრეს შეურთდება, ვისთან ერთად იცხოვრებს, ვის დაელაპარაკება და ა.შ. ინტეგრაციის პროცესზე საუბრისას ასევე გამოიკვეთა ისეთი ფაქტორებიც, რომელთა ცალსახა განაწილება ხელისშემშლელ ან ხელისშემწყობ კატეგორიებში გაგვიჭირდება, ვინაიდან აქ რესპოდენტთა აზრი ორად იყოფა: საუბარია მიგრანტის ხშირ კომუნიკაციაზე თავისივე მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლებთან. მიგრანტთა ნაწილისთვის „თანამოძმეებთან“ ერთ სივრცეში ცხოვრება ან თავისუფალი დროის გატარება აადვილებს უცხო ქვეყანაში ყოფნის პროცესს და უცხო გარემოში

ადაპტაციას, თუმცა იკვეთება მეორე ნაწილიც, რომლისთვისაც მასპინძელ ქვეყანაში შენივე კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა არაფერია, თუ არა კომფორტის ზონაში ჩაკეტვის მცდელობა, რის შედეგადაც „უცხო“ უნებლიედ ბლოკავს ყველა იმ სიახლესა თუ გამოცდილებას, რომლის მიღების საშუალებას სწორედ მასპინძელი გარემო იძლევა (ნინო). ნინოს მსგავსად, ტომიც უპირატესობას კომფორტის ზონიდან გამოსვლას ანიჭებს, რის გამოც საქართველოში მას არცერთი ამერიკელი მეგობარი არ ჰყავს. ვინაიდან მისი ღვიზი შემდეგია: „სადაც ცხოვრობ, მეგობრებიც იქაური უნდა გყავდეს, რათა ახალი გამოცდილება მიიღო.“ მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების გარდა, მასპინძელი საზოგადოების წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც ის „ამსხვრევს ბარიერს მასპინძელ საზოგადოებასთან“. სამაგიეროდ, რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება უცხო ქვეყნის მიგრანტებთან ურთიერთობის აუცილებლობაზე, რაც საბოლოოდ ქმნის „ერთიან ძალას“, რომლითაც უფრო მარტივი ხდება გარკვეული სერვისებით სარგებლობა ან პრობლემატურ სიტუაციებთან გამკლავება. ანაოსა და ნინოს შემთხვევაში მათ სამეგობრო წრეში დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი საერთაშორისო სტუდენტები, რომლებსაც „უფრო საერთო კულტურა აქვთ“, რამაც ისინი გულისხმობენ იმიგრანტებს იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც ახლო გეოგრაფიული მდებარეობა ან ისტორიული ფონი აქვთ - უკრაინელები, ალბანელები, რუსები - და რომლებთანაც „საერთო ენის გამოწახვა უფრო მარტივია.“ (ანაო) პარალელის მოყვანა უცხო ზიმელისეული კონცეფციიდანაც შეგვიძლია, რომლის მიხედვითაც, უცხო ახლოსაა ჩვენთან იმდენად, რამდენადაც ჩვენ მასთან გვაკავშირებს საერთო ეროვნება, სოციო-კულტურული მახასიათებელი, ხოლო მის სიშორეს განაპირობებს ის მახასიათებლები, რომლებიც განგვასხვავებს (Wolff, 1950) , თუმცა აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ კომუნიკაციის მარტივად წარმართვასთან, არამედ ინტერაქციის ბევრად მოკლე დროში დამყარებასთან, კერძოდ, ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: „როცა ნახულობ საერთო ენას ბევრად უფრო მარტივია, უფრო მალე ხდება კომუნიკაცია.“ აქედან გამომდინარე კი შესაძლოა ვივარაუდოთ, კულტურების მსგავსება ერთგვარად შუამავლის როლს თამაშობს ეფექტური კომუნიკაციების დამყარებაში, ხოლო განსხვავებული კულტურების შემთხვევაში კომუნიკაციის პროცესი გაცილებით გაწელილ პროცესად გვევლინება. ამასთან, კვლევამ საშუალება მოგვცა უცხო ინტეგრაციაზე საუბრისას ყურადღება გავამახვილოთ ინტეგრაციაზე, როგორც არა მხოლოდ ჯგუფურ, არამედ პერსონალურ მდგომარეობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ცალკეული ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ინდივიდუალური ინტეგრაციის დონეც, რაც შეგვიძლია შევისწავლოთ „უცხო“ ადგილობრივ მოსახლეობაში დამკვიდრებით, განათლებით, დასაქმებით და სოციო-კულტურული ადაპტაციით ახალ საზოგადოებაში (Penninx, 2003). ინდივიდუალური ინტეგრაციის ხარისხზე დაკვირვება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება, თუკი დავაკვირდებით ერთსა და იმავე საზოგადოებაში მცხოვრებ მიგრანტებს, განსხვავებული ინდივიდუალური თვისებებით. რესპოდენტთა უმრავლესობის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ წარსული მიგრანტული გამოცდილება აადვილებს ინტეგრაციის პროცესს, ვინაიდან მიგრანტს ამ შემთხვევაში ნაკლები მიჯაჭულობა აქვს ოჯახთან და უფრო მეტად დამოუკიდებელია. ასევე ის ითვალისწინებს წარსულ მიგრანტულ გამოცდილებას და ცდილობს

ნაკლებად შეიქმნას გადაჭარბებულად პოზიტიური ან ნეგატიური წარმოდგენა მასპინძელ საზოგადოებაზე და ახალ ქვეყანაში ცხოვრება „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყოს. ამასთან, ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად კომუნიკაბელურობა და ღიაობა გვევლინება, რომელიც ხშირად სწორედ ის ბერკეტი, რომლითაც მასპინძელ საზოგადოებას თავად გადადგმული პირველი ნაბიჯით არწმუნებ, რომ გსურს კომუნიკაცია, რაც დადებითად აისახება შემდგომ ურთიერთობებზე „თუ ატყობს საზოგადოება, რომ არ ხარ, ასე რომ ვთქვათ, უჟმური, ბოროტი ადამიანი და პირიქით, ხარ გახსნილი, გინდა კომუნიკაცია, ყოველთვის ნახავ ვილაცხას, ვისაც გამოესაუბრები.“ აქედანაც ვლინდება, რომ კომუნიკაცია არაა ცალხმრივი პროცესი და მოითხოვს მეორე მხარის(ების) მონაწილეობას, თუმცა ხშირად მასპინძელ საზოგადოებას კომუნიკაციაში ჩართვის სურვილს სწორედ უცხოის მიერ გამოჩენილი საუბრის ინიციატივა უღვივებს, რითიც შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ხშირად უცხოის ძალისხმევას საჭირო მასპინძელ საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს კომუნიკაციის უნარებს. განსხვავებული პიროვნული თვისებები საბოლოოდ განაპირობებს განსხვავებული კომუნიკაციის გამოცდილებას მასპინძელ საზოგადოებასთან: კომუნიკაბელური მიგრანტი იშვიათად აწყდება კომუნიკაციის პრობლემას, ხოლო ნაკლებად ინიციატორი, პირიქით. საყურადღებოა, რომ ინიციატივის აღების უნარი არა მხოლოდ ეფექტური კომუნიკაციისთვის, არამედ გარემოს შეცვლისა და მორგებისთვისაც კი მნიშვნელოვანია. ამას მოწმობს ჯეიმსიც, რომელსაც არ მოსწონდა მოუწესრიგებელი სადარბაზო და ნაგვით სავსე ტროტუარები, ამიტომ მან საკუთარი რესურსებით დაიწყო სადარბაზოს დასუფთავება და ტროტუარიდან ნაგვის აკრეფვა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იგი ყველაფერს მარტო აკეთებდა და მისი ქცევა საზოგადოებაში უცნაურად აღიქმებოდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მას „მიმღევრებიც“ გამოუჩნდნენ, რომლებიც მას არათუ ეხმარებოდნენ, მის არყოფნაში დამოუკიდებლად ასრულებდნენ კიდევ ამ „სამუშოს“. რამაც საბოლოოდ ჯეიმსის „უცხო“ ქცევა, მისი მებობლებისთვის და ახლოს მცხოვრები ადამიანებისთვის ყოველდღიურობის ნაწილად გადააქცია. „მათაც (მასპინძელი საზოგადოება) სურდათ უფრო მონესრიგებულ გარემოში ცხოვრება, მაგრამ თქვამდნენ, რომ მარტო ვერაფერს გახდებოდნენ, თუმცა შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ჩვენ ერთობლივად შეგვეძლო მოქმედება.“ (ჯეიმსი) ამ შემთხვევამ გამოაჩინა, ერთი მხრივ, „კოლექტივიზმის“, ხოლო, მეორე მხრივ, ინიციატივის აღების ძალა, რომლის წყალობითაც უცხო და მასპინძლებს საერთო ყოველდღიური საქმიანობა უჩნდებათ, რაც ინტეგრაციის ხარისხზე დადებითად აისახება.

პიროვნულ თვისებებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ისეთი თვისებებიც, რომელთა გამომუშავების აუცილებლობა თავად ინტეგრაციის პროცესში ღვება. კერძოდ, ექვსივე რესპოდენტი საუბრობს მოთმინების, ნებისყოფის აუცილებლობაზე. ტომი, საკუთარ თავზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მისი უარყოფითი მხარეა მოთმინების არქონა, თუმცა ინტეგრაციის პროცესში მას მოუწია ნებისყოფის გამომუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიური ინტერაქცია მაღაზიაში, სადაც რიგს ხშირად არავინ იცავს, შეუძლებელი გახდებოდა. მსაგსად ტომისა, ნინო, ლიკა და მაიკლიც მომავალ იმიგრანტებს სწორედ მოთმინების უნარის გამომუშავებისკენ მოუწოდებენ. საგულისხმოა ისიც, რომ

ინტეგრაციის პროცესში შესაძლოა დადგეს მომენტი, როდესაც მასპინძელი საზოგადოების ტრადიციებზე უარის თქმამ შეაფერხოს ინტეგრაციის პროცესი, ხოლო ამ წეს-ჩვეულებებზე თანხმობა კი ეწინააღმდეგებოდეს პიროვნულ ინტერესებს. ამგვარ სიტუაციებში გამოჩნდა, რომ მნიშვნელოვანია ოქროს შუალედის დაცვა ალტერნატივების გამოძებნის სახით, რომელთა საშუალებით არც მასპინძელი „განაწყენდება“ და არც პირადი ინტერესების უკან დახევა გახდება საჭირო. ჯეიმსი იხსენებს სიტუაციას: „სტუმრად ყოფნის დროს მასპინძლები „მაიძულებდნენ“ ღვინის „ბოლომდე“ დალევას. მათ უარს ვერ ვეტყვოდი, თუმცა თან ეს ჩემთვისაც რთული იყო. ამიტომ ჩემი ექიმისგან ყალბი სამედიცინო მონიშვნა ავიღე, რომლის მიხედვითაც დალევა მეკრძალებდა. უარის თქმით რთული გახდებოდა მათთან ინტეგრაცია, თუმცა ამ გამოსავლით ისინი მიდიოდნენ „კომპრომისზე“ და შემეძლო აღარ დამეღია“.

ყოველივედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიკრო დონეზე ინტეგრაციისას კულტურული განსხვავებები, ენის ბარიერი და ხშირად კომფორტულ (მშობლიურ) საზოგადოებაში „ჩაკეტვა“ გვევლინება ხელისშემშლელ ფაქტორებად. ხოლო მიგრანტული გამოცდილების მქონდე ადამიანებთან ინტერაქცია და პიროვნული თვისებები, როგორებიცაა: ინიციატორობა, კომუნიკაბელურობა, მოთმინების უნარი, ზრდის ინტეგრაციის ხარისხს. აქვე გამოიკვეთა ინდივიდუალური ინტეგრაციის ფენომენიც, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად სწორედ მიკრო დონეზე ვლინდება.

„უცხო“ ინტეგრაცია მეზო დონეზე

მიკრო დონისგან განსხვავებით, მეზო დონეზე ინტერაქციისას მიგრანტის ხელში ბევრად ნაკლები ბერკეტია, რომლითაც იგი გარემოზე რაიმე სახით გავლენას მოახდენს. ინტერვიუებიდან გამომდინარე, მეზო დონის ინტეგრაციაზე საუბრისას ყურადღება მიექცევა სამუშაო გარემოს, სამედიცინო სერვისებით სარგებლობასა და სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებაში (სკოლა, უნივერსიტეტი) ინტერაქციებს.

სამუშაო გარემოზე საუბრისას რესპოდენტთა ნაწილი ენის ბარიერს ასახელებს იმ ერთ-ერთ მიზეზად, რომლის გამოც შესაძლოა დამსაქმებელმა თავი შეიკავოს „უცხო“ სამსახურში აყვანისგან, თუმცა ეს დაბრკოლება ნაკლებად იჩენს თავს საერთაშორისო კომპანიების შემთხვევაში, სადაც ადგილობრივი კომპანიებისა თუ დაწესებულებებისგან განსხვავებით, არ დგას ადგილობრივი ენის ცოდნის აუცილებლობის საკითხი და გადანყვეტილების მიღება მხოლოდ კვალიფიკაციიდან გამომდინარე ხდება. საინტერესოა ისიც, რომ უნგრეთის შემთხვევაში, მიგრანტის მიერ ადგილობრივი ენის ფლობა, პრობლემას მაინც არ აღმოფხვრის, ვინაიდან დამსაქმებლის წინაშე ახალი ბარიერი ჩნდება დამატებითი გადასახადების სახით. ყოველივე დაკავშირებულია მიგრანტისთვის აუცილებელ სამუშაო ვიზასთან, რომლის თანხების დაფარვის პასუხისმგებლობა დამსაქმებელს ეკისრება. შედეგად, „უცხოელი თანამშრომელი“ დამსაქმებელმა შესაძლოა იმ ზედმეტ ხარჯად აღიქვას, რომლის განევაც მას არ სურდეს ან არ უღირდეს. რესპოდენტთა უმრავლესობა ასევე საუბრობს სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის

სირთულეებზე, რასაც პირველ რიგში სწორედ ენის ბარიერი წარმოშობს. საინტერესოა ანანოს შედარება, რომლითაც იგი სამედიცინოს სერვისებით სარგებლობას „თავის ტკივილს“ ადარებს. ასევე სხვა რესპოდენტებიც, ნინოც და ლიკაც, ყველანაირად ცდილობენ თავი აარიდონ ექიმთან ვიზიტს. ამის მიზეზად, ერთი მხრივ, ექიმთან ვიზიტის თანმდევი რთული პროცედურები სახელდება ხოლო, მეორე მხრივ, კვლავაც თავს იჩენს „ვერ გაგების“ შიში, რომელიც უსაფუძვლო ნამდვილად არაა, ვინაიდან სამედიცინო სფეროში ენობრივი ბარიერის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას. სწორედ ამიტომ რესპოდენტები საუბრობენ უცხოდ ყოფნის შეგრძნებაზე, რაც სწორედ მსგავსი სერვისებით სარგებლობისას უჩნდებათ. ექიმთან ვიზიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მარტივდება, თუკი მედიატორის სახით მასპინძელი საზოგადოების წარმომადგენელიც იქნება ჩართული. ეს კი მიგრანტს უზღუდავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას, რაზეც ნინოც საუბრობს „მთლად დამოუკიდებელი არ ვარ - ვერ ვიტყვი, რომ ახლა ავდგები, წავალ ექიმთან და პრობლემა არ შემექმნება.“

ენის ბარიერი - „ვერ გაგება“ - დამოუკიდებლობის შეზღუდვა - ერთმანეთთან ჯაჭვურ კავშირს ქმნის, რაც საბოლოოდ სამედიცინო კუთხით, უცხო დაუცველობის განცდას უყალიბებს, რაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მძაფრად ვლინდება და მატულობს ისეთი ფიქრები, როგორცაა „მარტო ვარ, ჩემი არ ესმით და რამე რომ დამემართოს რაფიცი, ვინ მომხედავს“, რაც შეეხება სხვა სერვისებით სარგებლობას, ტომი აღნიშნავს, რომ მას დღემდე არ შეუძლია საბანკო ანგარიშის შექმნა. ასევე, გარდა საბანკო სერვისებისა, არსებობს საკუთრების ფლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი შეზღუდვები, თუმცა განხვავებით სამედიცინო მომსახურებისგან, ტომი აღნიშნავს, რომ მსგავსი საკანონმდებლო შეზღუდვები მას განსაკუთრებულ დისკომფორტს არ უქმნის და მათ გარეშეც ახერხებს საკუთარი გეგმების განხორციელებას. ინტეგრაციისას უცხო ნინაშე დაბრკოლებები ჩნდება ასევე უნივერსიტეტშიც. იმის მიუხედავად, რომ აქ ენის ბარიერს ასუსტებს ბევრი სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტის არსებობა, ანანო იხსენებს შემთხვევას, როდესაც პირველ კურსზე ერთ-ერთი ლექტორის ლექციებს ვერ იგებდა, რადგან ლექტორს ინგლისურად მასალის გადმოცემის პრობლემა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ენის ბარიერი არაა ის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მიგრანტ სტუდენტს თავს „უცხოელად“ აგრძნობინებს. უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობების ადგილობრივი და „საერთაშორისო სტუდენტებისთვის“ გამიჯვნა ასევე ამძაფრებს უცხო შეგრძნებას. ანანო საუბრობდა, რომ ხშირად „უცხო“ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ სწორედ გამიჯნული თვითმმართველობებისა და ინფორმაციის მხოლოდ ადგილობრივ ენაზე გავრცელების გამო, რაც განაპირობებდა მის ნაკლებ ჩართულობას სტუდენტურ ცხოვრებაში.

ენა ყველაზე დიდი გამოწვევაა, მაგრამ არა მთავარი პრობლემა მაშინ, როცა თავს განსხვავებული შეხედულებები და მიდგომები იჩენს. მაიკლი, რომელიც ტყიბულში მასწავლებლად მუშაობდა იხსენებს, რომ მისი სწავლისადმი მიდგომა დანარჩენი მასწავლებლებისთვის უცხოდ და უცნაურად (Weird) აღიქმებოდა, ვინაიდან იგი მოსწავლეებთან ისეთ მიდგომებს იყენებდა, რომლებიც ძირითადად თამაშებზე, ინტერაქციასა და მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობას ემყარებოდა, განსხვავებით დანარჩენი მასწავლებლებისგან, რომლებიც უპირატესობას უფრო მკაცრ და

დისტანციურ ურთიერთობებს ანიჭებდნენ. ამის გამო, მას მასწავლებლებთან, როგორც კოლეგებთან, ურთიერთობა არ ჰქონდა. ასევე განსხვავებული მიდგომების გაზიარების პრობლემაზე საუბრობს ჯემსიცი, რომელიც იხსენებს, რომ როდესაც ერთ-ერთი ორგანიზაციის თავმჯდომარეებს საკუთარ შეხედულებებს უზიარებდა, მათ უჭირდათ განსხვავებული პოზიციის მიღება, ხოლო არგუმენტად შემდეგი ფრაზა მოჰყავდათ „შენ რა იცი, აქაური არ ხარ.“ ამ შემთხვევებიდანაც ვლინდება, რომ ხშირად კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში მასპინძელი საზოგადოებისთვის უცხოს მიერ განსხვავებული მიდგომის შეთავაზება არსებულ წესრიგში უხეშ ჩარევად აღიქმება, რომლის გათვალისწინებაც ძალიან იშვიათად ხდება, რაც ადასტურებს მეზო დონეზე უცხოს მიერ გავლენის მოხდენის შესაძლებლობის შემცირებას და მეზო დონეზე პერსონალური თვისებების „ძალის“ შესუსტებას.

უცხო ინტეგრაცია მაკრო დონეზე.

იმ პირობებშიც კი, როცა მიგრანტები ერთი და იმავე მიგრანტის სტატუსით იგივე ქალაქში იმყოფებოდნენ, ისინი მასპინძელ საზოგადოებას რადიკალურად განსხვავებულად ახასიათებენ. მიზეზების ძიებისას მივდივართ ერთ-ერთ ფაქტორამდე, რომელიც რესპოდენტებს მნიშვნელოვნად განასხვავებს. კერძოდ, ეს არის განსხვავებული პიროვნული თვისებები. როგორც მიკრო დონეზეც ვნახეთ, პიროვნული თვისებები ინიდივიდუალური ინტეგრაციის პროცესში განსხვავებულ გამოცდილებას განაპირობებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმიგრანტები სწორედ ამ განსხვავებულ გამოცდილებას აზოგადებენ და საზოგადოებას, როგორც მთელს, გარკვეულ თვისებებს ანიჭებენ. შეიძლება ითქვას, რომ შეფასებისას გამოვლინდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, მიგრანტები საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებს მასპინძელ საზოგადოებას მიაწერდნენ. სხვა სიტყვებით, მასპინძელი საზოგადოება ისეთივე ეჩვენებოდათ, როგორ კომუნიკაციასაც თავად ამყარებდნენ ან ცდილობდნენ დაემყარებინათ. რესპოდენტთა ნაწილის შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, ერთსა და იმავე საზოგადოებას ერთდროულად მიენერება ღიაობა, გახსნილობა, უცხოს მიმართ პოზიტიური განწყობები და ასევე სიცივე, ჩაკეტილობა, ნეგატიური დამოკიდებულებები. რასაკვირელია, არაა გასაკვირი სხვადასხვა ადამიანის მიერ განსხვავებული შეფასებები, თუმცა რადიკალურ განსხვავებებთან ერთად მათულობს სხვა შესაძლო მიზეზების ალბათობა. იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა მხოლოდ რესპოდენტთა ნაწილის - უზრუნველ მსგავსი მიგრანტების - შემთხვევაში, გავვიჭირდება ამ ტენდენციის განზოგადება, თუმცა მაინც შეგვიძლია გავიხსენოთ უცხო „ობიექტურობის“ („Objectivity” Of The Stranger) ფენომენი, რომელზეც ზიმიელი საუბრობს. იქიდან გამომდინარე, რომ უცხო დაბადებიდან არ ეკუთვნის მასპინძელ საზოგადოებას, ის მისგან შორს დგას ობიექტური შეფასების უნარით, (Georg Simmel, 2016), აქ „ობიექტურობის“ ხარისხი მაინც დაბალია იმდენად, რამდენადაც შეფასებაზე შესაძლო გავლენას ახდენს არა კულტურული, არამედ ამჯერად უკვე პიროვნული ფაქტორი, რაც მიგრანტის შეფასებას შესაძლო სუბიექტურობას ანიჭებს, თუმცა უნდა განვმეორდეთ, რომ მსგავსი ტენდენციის არსებობაზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ კონკრეტულ და არა მიგრანტთა ფართო მასებზე საუბრისას. საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ უცხო პიროვნულ თვისებებზე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მასპინძელი საზოგადოების „ხასიათი“. რესპოდენტთა უმრავლესობამ

აღნიშნა, რომ მარტივად „იდენტიფიცირებადი უცხოები“, რომლებიც განსხვავებული კანის ფერით, ქცევით, ჩაცმულობის სტილით გამოირჩევიან, „ფრთხილად“ უნდა იყვნენ, ვინაიდან ისინი უფრო მარტივად ექცევიან საზოგადოების ყურადღების არეალში, შესაბამისად მეტად გრძნობენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. ანაო, ნინო, ლიკაც საუბრობენ, რომ მათ არ აქვთ „მკვეთრად გამოკვეთილი იმიგრანტის გარეგნობა, რის გამოც ხშირად საზოგადოება მათ „უცხოებად“ არ თვლის. ამასთან, ყველა რესპოდენტი აღნიშნავს, რომ კანის ფერთან, სქესსა და ასაკთან ერთად იცვლება ხალხის დამოკიდებულებაც. მამაკაცი რესპოდენტები საუბრობენ იმ ფაქტზე, რომ მათ აღვიდას ქალ მიგრანტებს ინტეგრაციის პროცესში განსხვავებული გამოცდილება ექნებოდათ. „გამოაშკარავებულობის“ გრძნობა საერთო აღმოჩნდა ტომის, ჯემისა და მაიკლისთვისაც, რომლებიც საქართველოში შეუმჩნეველები იშვიათად რჩებოდნენ. ისინი ანონიმურობის დეფიციტს განიცდიდნენ, რაც მათ „უცხო“ შეგრძნებას უქმნიდა: „ზოგჯერ მინდოდა საზოგადოების დანარჩენი ნაწილის მსგავსად „ნორმალური“ ვყოფილიყავი და მათთვის ნაკლები ახსნა ყოფილიყო საჭირო“ - მაიკლის ამ ფრაზიდანაც ჩანს, რომ მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა მიგრანტისთვის პირადი სივრცის შეზღუდვასა და, როგორც ტომი ამბობს, დისკომფორტთანაა დაკავშირებული, თუმცა საინტერესოა, რომ მასპინძელი საზოგადოების მიერ გამოჩენილი ზედმეტი ყურადღება ყოველთვის უარყოფითად არ მოქმედებს ინტეგრაციის ხარისხზე. ჯემისი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მისი ჯემპრი ერთ-ერთმა მკერავმა ქალბატონმა გაკერა, თუმცა უსასყიდლოდ: „როდესაც ვკითხე, რა ღირს? მან მიპასუხა - არაფერი, შენ ხომ სტუმარი ხარ!“, ამიტომ ყურადღება, რომელიც სტუმართმასპინძლობითაა განპირობებული, პირიქით, სასიამოვნო ხდება „უცხოთვის“. მეტიც, უნგრეთის შემთხვევაშიც აღნიშნავდნენ რესპოდენტები, რომ „რადგან უცხოელი ხარ, უფრო რაღაცნაირად გეპყრობიან.“ ამ „რაღაცნაირად“ მოპყრობაში კი სწორედ მიგრანტის მიმართ ზედმეტი ინტერესის გამოჩენა და უფრო ხშირად დასმული კითხვა- „რამე ხომ არ გჭირდება?“ იგულისხმება. ხშირად მსგავსი ყურადღება ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესზე დადებითან მოქმედებს, რადგან მასპინძელი საზოგადოება თავადვე გრძნობს პასუხისმგებლობას, რომ „უცხო“ თავი კარგად იგრძნოს.

მასპინძელი საზოგადოების განწყობებს ამავე დროს განაპირობებს მიგრანტის სტატუსი. უნგრეთის შემთხვევაში სამივე რესპოდენტი აღნიშნავს, რომ რადგანაც ისინი სტუდენტები იყვნენ, საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობით სარგებლობდნენ. ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ისაა, რომ მასპინძელი საზოგადოება სტუდენტებს „დროებით მიგრანტებად“ თვლის, რომლებიც მალევე დატოვებენ ქვეყანას. „სტუდენტებზე არ აქვთ აგრესია, მაინც ფიქრობენ, რომ წავლენ და არ დარჩებიან.“(ანიუტა) იგივეს კი ვერ ვიტყვით ლტოლვილ ან უმუშევარ მიგრანტებზე, რომელთა მიმართაც უნგრეთის შემთხვევაში უფრო ნეგატიური განწყობებია, რასაც ნაწილობრივ ქვეყნის მკაცრი პოლიტიკა განაპირობებს, რაც განსაკუთრებით ლტოლვილებისა და დევნილების წინააღმდეგაა მიმართული.

ამრიგად, მაკრო დონეზე მიგრანტთა ინტეგრაციის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მასპინძელი საზოგადოება უცხოს შეიძლება მოექცეს კარგად ან ცუდად, მაგრამ არასდროს ისე, როგორც ერთმანეთს.

დასკვნა

კვლევის შედეგად საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი შეფასდა სამ - მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე, ხოლო თითოეულ დონეზე გამოვლინდა ინტეგრაციის ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ფაქტორები. ასევე თითოეული დონისთვის გამოიკვეთა სპეციფიკური მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის დამაბრკოლებლად სამივე დონისთვის საერთო ენის ბარიერი აღმოჩნდა, რომლის გადალახვაც მიკრო დონეზე შესაძლებელია, ხოლო მეზო დონეზე თითქმის შეუძლებელია. მაკრო დონეზე კი ენის ბარიერთან ერთად ჩნდება არანაკლები სირთულის, განსხვავებული მიდგომებისა და შეხედულებების პრობლემა, რომელზე გავლენის საშუალება უცხოს იშვიათად ეძლევა. ამასთან, გამოვლინდა ინდივიდუალური ინტეგრაციის ფენომენი, რომელიც პიროვნულ თვისებებთანაა დაკავშირებული და მისი გავლენა ყველაზე შესამჩნევი სწორედ მიკრო დონეზეა, თუმცა დონეების მატებასთან ერთად მცირდება პერსონალური თვისებების როლი და მიგრანტის ხელში ბევრად ნაკლები ბერკეტი რჩება, რითიც მას გარემოზე ზემოქმედება შეუძლია.

მეზო დონეზე განისაზღვრა „უცხო“ ინტეგრაცია სამედიცინო, კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში. აქ თავი იჩინა „ვერ გაგების“ შიშმა, რაც ხშირად განაპირობებს მასპინძელი საზოგადოების მხრიდან უცხოთვის თავის არიდებასა და მისგან იზოლირებას.

მაკრო დონეზე კი მიგრანტების მიერ მასპინძელი საზოგადოების შეფასებისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომლითაც ისინი მასპინძელ საზოგადოებას პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე აფასებდნენ და ისეთივე ეჩვენებოდათ, როგორ კომუნიკაციასაც თავად ამყარებდნენ ან ცდილობდნენ დაემყარებინათ. ყოველივე კი ხელახალი პერსპექტივიდან წარმოგვიჩინს „უცხო“ ობიექტურობის შესახებ ზიმელის თვალსაზრისს, რომელიც ხაზს უსვამს „უცხო“ ობიექტურობაზე მოქმედ როგორც კულტურულ, ისე პიროვნულ ფაქტორებს.

ამასთან, კვლევა ადასტურებს, რომ უცხო მასპინძელი საზოგადოება შესაძლოა კარგად ან ცუდად მოექცეს, თუმცა არასდროს ისე, როგორც ერთმანეთს, რაც ადასტურებს ზიმელისეული „უცხო“ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, „უცხო“ ვერასდროს გახდება მასპინძელი საზოგადოების ისეთივე სრულყოფილი წევრი, როგორც მოქალაქე. გარდა ამისა, კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ არაა აუცილებელი ინტეგრაცია ასიმილაციის პროცესთან ერთად განვიხილოთ, ვინაიდან ადაპტაციის პროცესში მიგრანტები ინარჩუნებენ იმ ბაზისურ კულტურულ ჩვევებსა და ქცევებს, რომლებიც მათ მანამდე ჰქონდათ.

აღსანიშნავია, ისიც რომ მასპინძელ საზოგადოებას არ აქვს კონკრეტული უნივერსალური ფორმულა, რომლითც ის „უცხო“ აღიქვამს, რასაც გააპირობებს მიგრანტის ინტეგრაციის ცვლილება გენდერის, კანის ფერის, სქესისა თუ რელიგიური შეხედულების პარალელურად.

ბიბლიოგრაფია

- clarke, A. (2014, January 23). *in Culture & Integration*. Retrieved from themigrationist.net:
<https://themigrationist.net/2014/01/23/the-stranger/>
- Georg Simmel, S. t. (2016, March). *The Stranger*. Retrieved from <https://thebaffler.com>:
<https://thebaffler.com/ancestors/stranger>
- Gsir, S. (2014). *Civic Participation and Integration: A country of origin perspective, INTERACT RR 2014/03*.
San Domenico di Fiesole: Robert Schuman Centre for advanced Studies European University
institute .
- Heckmann, W. B. (2006). *Social integration of immigrants: Contribution of local and regional authorities*.
Dublin, Loughlinstown, Ireland.
- Penninx, R. (2003, October 1). *Integration: The Role of Communities, Institutions, and the State*. Retrieved
from migrationpolicy.org: [https://www.migrationpolicy.org/article/integration-role-communities-
institutions-and-state](https://www.migrationpolicy.org/article/integration-role-communities-institutions-and-state)
- R. Penninx, B. G.-M. (2016, June 09). *The Concept of Integration as an Analytical Tool and as a Policy
Concept*. Retrieved from <https://www.researchgate.net/publication/300331479>:
https://doi.org/10.1007/978-3-319-21674-4_2
- Seiberth, A. T. (2017). Migrant background, culture and ethnicity: sociological terms without explanatory
value?! *European Journal for Sport and Society*, 183-185.
- TIRYAKIAN, E. (1973). Sociological perspectives on the stranger. *soundings: An Interdisciplinary Journal*,
48-49.
- Wolff, K. (1950). *The Sociology of Georg Simmel*. *New York: Free press*, 402-408.